ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №791103

ნომერი: AR1145375

თარიღი : 09.07.2013

გაცემის თარიღი : 15.07.2013

გაცნობის თარიღი : 15.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალსადენის , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თოხაძე პ/ნ 01009018465
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 8 ბ. 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო შენობა–ნაგებობა თავისი გაბარიტული ზომებით სცდება პირველი კლასის მახასიათებლებს, შესაბამისად საჭიროა გარე პერიმეტრში შენობა–ნაგებობის ფართი დაიყვანეთ 60.0 კვ.მეტრამდე, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით, ამისათვის კი უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" - "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად.

ასევე:

1. დამატებით წარმოსადგენია ორივე ქუჩის მხრიდან, სხვადასხვა რაკურსიდან, მათ შორის შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, ყველა გაბარიტული ზომისა და მასალის მითითებით.. გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ობიექტი არ უნდა იყოს აღქმადი ქუჩის მხრიდან.
2. ასევე წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობა–ნაგებობის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილი დატვირთულია სერვიტუტით, საჭიროა შენობა–ნაგებობის განთავსება მოხდეს სერვიტუტისგან თავისუფალ ტერიტორიაზე.
3. ვინაიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს "ჯაბა"–ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია მოქ. თენგიზ ტრაპაიძე, საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული პირის მინდობილობა გაცემული თქვენს მიმართ, ან მისი თანხმობა, აღნიშნული სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.